



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 იანვარი 2026



N 13/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### მესტიის მუნიციპალიტეტში სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ს/კ: 204995176) მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ - კოდექსი) შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 25 ივლისს წარმოდგენილი იქნა განცხადება (წერილი N7313) დაგეგმილი საქმიანობის (მესტიის მუნიციპალიტეტში სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N400/ს, 31/07/2025). ასევე, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით 2024 წლის 6 ნოემბერს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, კოდექსის მიხედვით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სააგენტოს მიერ წარმოებული სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N71; ბრძანება N718/ს; 23/12/2024).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/10386, 20.10.2025) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (წერილი N12748, 15.12.2025). კერძოდ, დაზუსტდა ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე განსათავსებელ წყლის ძირითად დამაბინძურებელ ობიექტებსა (ტრანსფორმატორების განთავსების ადგილიდან) და მდ. ენგურის წყალდაცვით ზოლს შორის მანძილის, საპროექტო ტერიტორიის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის, ფუჭი ქანების სანაყაროს ალტერნატიული ვარიანტების (GIS, (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით), ფერდობიდან ჩამონადენი ატმოსფერული წყლების მართვის საკითხების შესახებ და სხვ. ასევე წარმოდგენილი იქნა ქვესადგურის

ტერიტორიის და მასზე გათვალისწინებული ნაგებობების GIS კოორდინატები (SHP ფაილებთან ერთად), სადრენაჟე სისტემის მოწყობის პროექტი.

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ილიანი 500“ მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის თემში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 42.16.44.873 - ფართობი 113590 მ<sup>2</sup>, 42.16.44.876 - ფართობი - 9652 მ<sup>2</sup>). ქვესადგურის ინფრასტრუქტურის განთავსება გათვალისწინებულია 7 882 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზე. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 1290 მეტრით. საპროექტო არეალიდან დაახლოებით 50 მეტრში მდებარეობს მდ. ენგური. ტერიტორიას ესაზღვრება ზუგდიდი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზა, რომელიც გადის საპროექტო ტერიტორიასა და მდ. ენგურს შორის არსებულ დერეფანში (გზის ნიშნული ზღვის დონიდან - 529-530 მ, ქვესადგურის არეალის სიმაღლე ზღვის დონიდან - 534-536 მ), საპროექტო დერეფანი ასევე კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ს (ხუდონი(ხაიში)-ლიხამურა: ს/კ 42.00.040).

გზმ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთების შესახებ, რომლის შესაბამისად, 500/110/35/10 კვ ქვესადგური “ილიანი 500”-ის პროექტის განხორციელება გათვალისწინებულია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მშენებარე და პერსპექტიული ჰესების მიერ გამოქმუშავებული ელექტროენერჯის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად. ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობისა (ნულოვანი) და ქვესადგურის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. უმოქმედობის ალტერნატიული ვარიანტი უგულვებელყოფილია საქმიანობის მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ქვესადგურის განთავსების ადგილის ორი ალტერნატიული ვარიანტიდან, გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ურთიერთშედარების საფუძველზე უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს. დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსების ორი ალტერნატიული ვარიანტი: I ალტერნატიული ვარიანტი - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარის მიმდებარე ტერიტორია (ს/კ: 47.14.35.008) და II ალტერნატიული ვარიანტი - ქვესადგურის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროს ფერდობი (ს/კ: 42.16.44.823). II ალტერნატიული ვარიანტი უგულვებელყოფილ იქნა სანაყაროზე დამცავი ნაგებობის მოწყობის საჭიროების, ასევე ნაყარების ჩამოშლისა და ქვედა ნიშნულებზე გავრცელების რისკების გათვალისწინებით. შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატიულ ვარიანტს (საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილის (70 კმ) მიუხედავად).

როგორც აღინიშნა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროექტის მშენებლობის ეტაპზე, ნაგებობების საძირკვლის მომზადების დროს წარმოქმნილი ექსკავირებული გრუნტის მართვის მიზნით ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა გათვალისწინებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 47.14.35.008- საერთო ფართობი - 23 798 მ<sup>2</sup>) ნაწილზე - 14 473 მ<sup>2</sup> ფართობზე. ტერიტორია ადრეულ წლებში (ენგურჰესის მშენებლობის პერიოდში) გამოყენებული იყო სამრეწველო დანიშნულებით და გამოირჩევა მაღალი ანთროპოგენური დატვირთვით. კერძოდ, ზედაპირი დაფარულია სამშენებლო ნარჩენებით, მიწის ნაყოფიერი ფენა შეადგენს დაახლოებით 2-3 სმ-ს და არ საჭიროებს მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობების სამუშაოებს. სანაყაროს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 190 მეტრში, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (ბუნებრივი ხევი) - დაახლოებით 80 მეტრში. წალენჯიხა-ჯვარი-ჯვარზენის საავტომობილო გზიდან სანაყაროსთან დაკავშირება შესაძლებელია არსებული გრუნტის გზით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დახურული (GIS) ტიპის 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა. ქვესადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია ორი შენობის განთავსება. პირველი, ორსართულიანი შენობა გათვალისწინებულია 110 კვ დახურული ტიპის ქვესადგურის (GIS) მოწყობილობებისთვის, 35 კვ და 10 კვ მოწყობილობებისათვის, სამორიგეო, საკონტროლო და მართვის

ფარისთვის, ხოლო შენობის მიწისქვეშა სართული - საკაბელო არხების მოსაწყობად. მეორე, სენდვიჩ-პანელების ერთსართულიანი შენობა გათვალისწინებულია 500 კვ მოწყობილობებისთვის. შენობებს შორის ღია სივრცეში დაგეგმილია ტრანსფორმატორების (ოთხი 89 მგვა 500/110/10 კვ და ორი სამფაზა 63 მგვა 110/35/10 კვ), სამი ერთეული 500 კვ. რეაქტორის (500 კვ მოწყობილობების შენობის გვერდზე) და რეაქტორების მოპირდაპირედ ზეთთემკრები ჭის მოწყობა/განთავსება. ქვესადგურის ტერიტორიაზე ასევე იქნება ხანძარსაწინააღმდეგო რეზერვუარი, სატუმბი სადგური, დიზელ გენერატორი, სარქველების კამერა, საკაბელო მიწისქვეშა არხები, საოპერატორო შენობა და საპარკინგე ტერიტორია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვესადგურში შევა არსებული ეგზ - „კავკასიონი-500“, ხოლო არსებული „ჯვარი-500“-ის ეგზ იქნება გამავალი. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამომავლოდ ქვესადგურში ჩართული იქნება მდ. ენგურის ხეობაში მოქმედი და დაგეგმილი ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზები. ქ. ქვესადგურს გააჩნია 3 ცალი 110 კვ და 35 კვ სახაზო უჯრედები. ქვესადგურში შესვლა-გამოსვლისათვის საჭირო საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზები გაივლიან შესაბამის გზმ პროცედურებს დამოუკიდებელი პროექტების სახით

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობები წარმოდგენილი არ არის, მიწის ნაკვეთი სწორი რელიეფისაა, თავისუფალია მცენარეული საფარის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენისგან. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის სამშენებლო ეტაპებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, რომელიც მოიცავს მიწის სამუშაოებს (სადირკვლებისთვის ქვაბულის მოწყობა); რკინაბეტონის სამუშაოებს (შენობა-ნაგებობების საძირკვლების და ძირითადი კარკასების მოწყობა), არამზიდი კონსტრუქციების აშენებას, საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟს, სახურავების მოწყობას, შენობების კედლების შევსება-შეფუთვას, შიდა და გარე სარემონტო სამუშაოებს, ტერიტორიის კეთილმოწყობას, სამშენებლო ნარჩენების გატანას. პროექტის შესაბამისად, ქვესადგურის მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება ამწე (მათ შორის, ტელესკოპური ამწე, ამწე კალათი), მსუბუქი სატვირთო, პიკაპი, ექსკავატორი, ბულდოზერი, თვითმცლელი, ბეტონის ტუმბო, დამტვირთველი, 5 მ3/სთ წარმადობის მობილური ბეტონშემრევი -„ფიორი“. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკისთვის ცალკე ტერიტორიის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. ამ მიზნით გათვალისწინებულია სამშენებლო მოედნის იმ უბნის გამოყენება, სადაც ქვესადგურის ნაგებობების მოწყობა არ არის დაგეგმილი. ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 13 თვეს. სამშენებლო სამუშაოებისას დასაქმებული იქნება 25-30 ადამიანი, წელიწადში 260 სამუშაო დღის განმავლობაში (დღეში 8-საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით), ხოლო ქვესადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 365 დღეს (ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით) და დასაქმდება 8-10 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვესადგურის მშენებლობისას ბეტონის ხსნარის შემოტანა მოხდება შესაბამისი საწარმოებიდან. მცირე მოცულობის სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია ერთი ერთეული მობილური ბეტონშემრევის გამოყენება. ინერტული მასალების შემოტანა გათვალისწინებულია სხვა იურიდიული პირების ლიცენზირებული კარიერებიდან. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი (შ7) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სიახლოვეს. შესაბამისად, ახალი მისასვლელი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული გრუნტის მაქსიმალური მოცულობა იქნება 11000 მ3, საიდანაც უკუყრილის სახით გამოყენებული იქნება 3500 მ3, ხოლო დარჩენილი რაოდენობა (დაახლოებით 7500 მ3), როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე (ს/კ 47.14.35.008). ანგარიშის შესაბამისად, სანაყარომდე ტრანსპორტირებისთვის საჭირო იქნება მაქსიმუმ 375 სატრანსპორტო ოპერაცია (დღეში არაუმეტეს 8 სატრანსპორტო ოპერაციისა), რომლისთვისაც გათვალისწინებულია საშუალოდ 20მ<sup>3</sup> ტევადობის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება. ფუჭი ქანების გადაზიდვის ოპერაციები შესრულება დაგეგმილია დღის საათებში, ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ქვესადგურის მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია როგორც სასმელ-სამეურნეო, ასევე ბეტონის ხსნარისთვის, ამტვერების საწინააღმდეგოდ და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სასმელი წყლით მომარაგება დაგეგმილია ბუტილირებული სახით, ხოლო ტექნიკური წყლით მომარაგება - შემოტანილი წყლით, რისთვისაც ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 5 მ<sup>3</sup> ტევადობის რეზერვუარის მოწყობა, რომელიც სამუშაოების დასრულების შემდეგ გატანილი იქნება სამშენებლო მოედნიდან. ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე წლის განმავლობაში სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის მოხმარებული წყლის ხარჯი იქნება 351 მ<sup>3</sup>, ხოლო მტვრის გავრცელების საწინააღმდეგოდ სამშენებლო მოედნების ზედაპირების დასანამად და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა - 250-300 მ<sup>3</sup>. მობილური ბეტონშემრევისთვის საჭირო წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 1352 მ<sup>3</sup>-ს. ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების (333.45 მ<sup>3</sup>/წელ) შესაგროვებლად სამშენებლო მოედანზე დაგეგმილია 10 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარის (ორმო) მოწყობა, რომელიც განიტვირთება სპეციალური სასენიზაციო მანქანით, ხელშეკრულების საფუძველზე. ანგარიშის თანახმად, ვინაიდან, სამშენებლო მასალების განთავსება დაგეგმილია ფარდულის ტიპის გადახურულ ნაგებობებში, მინიმალურია დაბინძურებული სანიაღვრე წყლების წარმოქმნის რისკი.

ქვესადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის დროს საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვა მოხდება 10 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარის საშუალებით და განიტვირთება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების დროს სატრანსპორტო საშუალებების ძრავებიდან ნაწივი აირების გაფრქვევასთან, მათი მოძრაობის შედეგად მტვრის გავრცელებასთან, მიწის სამუშაოების შესრულებასთან და მობილური ბეტონშემრევის გამოყენებასთან. ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდი, ჰვარტლი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, ნავთის ფრაქცია, შეწონილი ნაწილაკები, არაორგანული მტვერი - 70-20% SiO<sub>2</sub>. გაზნევის გაანგარიშების მიხედვით, მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე არ აღემატება ნორმატიულ მნიშვნელობებს. ქვესადგურის მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების გავრცელების მინიმუმაციის მიზნით ანგარიშში გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს სარემონტო/პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოებასთან (მოკლევადიანი და დაბალი ინტენსივობის ზემოქმედება). შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო და დროში შეზღუდული.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხმაურის გაანგარიშებების თანახმად, ქვესადგურის მშენებლობის დროს ხმაურის გავრცელება ძირითადად დაკავშირებული იქნება მშენებლობის პროცესში ჩართული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული მანქანა-მექანიზმების რაოდენობა დამოკიდებულია საპროექტო ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბებზე და მშენებლობის დროს ჩართულ მანქანა-მექანიზმების რაოდენობაზე (6 ერთეული). დაგეგმილი სამუშაოების და ტერიტორიის რელიეფის გათვალისწინებით, ერთ ლოკაციაზე ყველა ხმაურწარმოქმნელი მანქანა-მოწყობილობის ერთდროული მუშაობა დაგეგმილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაანგარიშების შესაბამისად, ხმაურის დონე გენერაციის ადგილზე შეადგენს 93.6 დბა-ს, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლთან (1290 მ) ხმაურის დონე დღის საათებში არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და იქნება 28 დბა.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება ძირითადად დაკავშირებული იქნება ქვესადგურის ტერიტორიაზე დამონტაჟებული ძალოვანი ტრანსფორმატორის ფუნქციონირებასთან (4 ერთეული ცალფაზა 89 მგვა 500/110/10 კვ ტრანსფორმატორი, და 2 ერთეული სამფაზა 63 მგვა 110/35/10 კვ ტრანსფორმატორი) და ტექ-მომსახურებასთან, რომლის შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპებზე საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის დონის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის, ხოლო ობიექტზე მომუშავე პერსონალისთვის ზემოქმედების შერბილების მიზნით გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები (მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, პერსონალის მიერ ყურსაცემების გამოყენება, პერსონალის ოთახის სპეციალური ხმაურსაიზოლაციო მასალით მოწყობა და სხვ.).

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, ტერიტორიის გეოლოგიური და გეოტექნიკური მახასიათებლების შესწავლის მიზნით ჩატარდა ტერიტორიის საკვლევი ღონისძიებები. სეისმური დარაიონების მიხედვით, საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 9-ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო ქვესადგურის მიმდებარე ფერდობზე დაფიქსირდა გეოლოგიური პროცესები, მათ შორის, არსებობდა ქვათაცვენის, ზვავის და გრუნტის ჩამოშლის რისკები. ფერდის ნაწილის ჩამოშლამ და აქტიურმა ქვათაცვენამ საპროექტო ტერიტორია დააყენა საფრთხის ქვეშ. გეოდინამიკური პროცესების გაუარესების თავიდან არიდებისა და ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ფერდის პერიმეტრზე 306.56 მ სიგრძის 2 ერთეული გრუნტის დამჭერი მონოლითური საყრდენი კედლის მოწყობის შესახებ, რომლის პროექტი შეთანხმდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასთან. გეოლოგიური და ტოპოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, საყრდენი კედელი დაყოფილია 9 მონაკვეთად, რომლის სიმაღლე ცალკეული მონაკვეთებისთვის შეადგენს 4მ-დან - 10 მ-მდე.

ჩატარებული კვლევების შესაბამისად, ქვესადგურის საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაფიქსირდა გრუნტის წყლები, რომლის მართვის მიზნით პროექტით გათვალისწინებულია ტრანშეის გაჭრა და დრენაჟის მოწყობა (ჯამური სიგრძე 175 მეტრი, სიმაღლე 4 მ). საყრდენი კედლების მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სექციების ქვედა და შუა ნაწილებში, ასევე მე-6-მე-8 სექციების შუა ნაწილებში დამონტაჟებულია 15 სმ დიამეტრის სადრენაჟე მილები. სადრენაჟე მილები განკუთვნილია მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის გასატარებლად.

საყრდენი კედლის მე-8 სექციის დასაწყისში გათვალისწინებულია წყალშემკრები ჭის მოწყობა, რომლის პერპენდიკულარულად მთავარი გზის მიმართულებით დამონტაჟდება სადრენაჟე მილი. ქვესადგურის ეზოს ჭიშკართან, სახანძრო სისტემის წყლის ავზის მიმდებარედ, რკინაბეტონის რგოლების გამოყენებით მოეწყობა მეორე სადრენაჟე ჭა. მეორე ჭიდან წყლის ნაკადის გადინება მოხდება საავტომობილო გზის პარალელურად არსებულ გრუნტის კიუვეტში „მილხიდის“ მიმართულებით, რომლიდანაც წყლის ჩადინება მოხდება მდ. ენგურში. კიუვეტი გათვალისწინებულია ფერდობიდან ჩამონადენი წყლების შეკრების და მდინარეში ჩაშვებისთვის. სადრენაჟე სისტემის მოწყობის შემდეგ ფერდობიდან ჩამონადენი ატმოსფერული წყლების კიუვეტში ჩაშვება მოხდება სადრენაჟე მილით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ძირითადი ნაგებობები მდ. ენგურის სანაპირო ზოლიდან დაშორებულია 50 მ-ზე მეტი მანძილით. წარმოდგენილი გენ-გეგმის შესაბამისად, მდინარესთან ყველაზე ახლოს მდებარეობს 63 მვა ტრანსფორმატორი. კერძოდ, უშუალოდ ტრანსფორმატორის უჯრედიდან მდინარე დაშორებულია 52 მეტრით, ხოლო 89 მვა ტრანსფორმატორის უჯრედიდან - 54 მეტრზე მეტი მანძილით. ქვესადგურის ტერიტორია მდ. ენგურის სანაპირო ზოლს უშუალოდ არ ესაზღვრება და მათ შორის მოქცეულია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა. პროექტის მიხედვით, ქვესადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სატრანსფორმატორო ზეთების დაღვრის პრევენციის და ავარიულ სიტუაციებში დაღვრილი ზეთების შემკრები სისტემები მოწყობა, რაც გამორიცხავს მდ. ენგურში დაბინძურებული წყლის ჩაშვებას.

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ღია ადგილს, სადაც განვითარებულია ბალახოვანი მცენარეები. მომიჯნავე ფერდობებზე წარმოდგენილია

ფართოფოტოლოვანი ტყის მასივი. აღნიშნული მცენარეული თანასაზოგადოებები და ლანდშაფტები ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით, კლასიფიცირდებიან შემდეგი ტიპის ჰაბიტატებად: G1.A47 - ევქსინური ხეების ტყეები, E2 - მეზოფილური მდელოები, H5.6 - ხრიოკი ადგილები. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით არსებულ ტყის კორომებში წარმოდგენილია შემდეგი სახეობის ხე-მცენარეები - რცხილა (*Carpinus betulus*), წაბლი (*Castanea sativa*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*), იფანი (*Fraxinus excelsior*), მდგნალი (*Salix caprea*), წიფელი (*Fagus orientalis*), ბალამწარა (*Cerasus sylvestris*), თელა (*Ulmus elliptica*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), ბუჩქნარი - *Sambucus nigra*, *Rhododendron ponticum*, *Euonymus latifolius*, *Clematis vitalba*, ბალახოვნები - *Calamagrostis* sp., *Agrostis* sp., *Geranium robertianum*, *Dryopteris filix-mas*, *Valeriana alliariifolia*, *Urtica dioica*, *Saxifraga rotundifolia*, *Salvia glutinosa*, *Oxalis acetosella*. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტყეებში იზრდება წაბლი (*Castanea sativa*), საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარე (VU).

საველე კვლევებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-ზე მეტი, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 90-მდე, ქვეწარმავლების და ამფიბიების 15 მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. ფრინველების დაცული სახეობებიდან საპროექტო ტერიტორიაზე ხვდება ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო) (*Accipiter brevipes*), ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა (*Buteo rufinus*), ველის არწივი (*Aquila nipalensis*) და ჩვ. გვრიტი (*Streptopelia turtur*). ანგარიშის შესაბამისად, კვლევის პერიოდში დაცული სახეობებიდან საკვლევ ტერიტორიაზე არცერთი სახეობა არ დაფიქსირებულა.

ხელფრთიანების წითელი ნუსხით დაცული სახეობები: სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*) და ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*). საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სახეობებიდან აღსანიშნავია ჩვეულებრივი ფრთაგრძელი *Miniopterus schreibersii* [IUCN-ის სტატუსი NT], გიგანტური მელამურა *Nyctalus lasiopterus* [IUCN-ის სტატუსი VU], მხოლოდ ევროპის მასშტაბით: წვეტყურა მლამიობი (*Myotis blythii*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*) და დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*) IUCN-[Global-LC, Europe-NT]. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე, უშუალო ზემოქმედების ზონაში ხელფრთიანებისთვის ხელსაყრელი/საბინადრო ჰაბიტატი არ არის, მცენარეული საფარი ფაქტიურად არ გვხვდება, აქ წარმოდგენილია ხრიოკი ადგილი. შესაბამისად, პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო უბანი არ კვეთს არცერთ დაცულ ტერიტორიას. არ არის მოქცეული საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში (Special protection areas), რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს საქართველოში მობუდარი ფრინველთა პოპულაციების დაცვა და მონიტორინგი. ასევე არ ხვდება ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების (Important bird areas – IBA) ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კვლევის პერიოდში დაცული სახეობებიდან საკვლევ ტერიტორიაზე არცერთი სახეობა არ დაფიქსირებულა. საპროექტო ზონაში განსაკუთრებით სენსიტიური უბნები არ იქნა გამოვლენილი, გარდა მიმდებარე ფრინველთა საიმიგრაციო მარშრუტისა. თუმცა საპროექტო ტერიტორიებზე და მის შემოგარენში გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამუშაოების წარმოების პროცესში ხმაურთან, ვიბრაციასთან, პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ცხოველთა სამყაროზე გავლენის შესაძლებლობის და მნიშვნელოვნების მიხედვით ტერიტორია შეფასებულია როგორც დაბალი სენსიტიურობის მქონე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით (დაახლოებით 1290 მ) მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ვიზუალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო მაგისტრალზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მგზავრებზე და ტურისტებზე მოსალოდნელი ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედების შესახებ, რომლის შესაბამისად, საავტომობილო გზას და საპროექტო

ტერიტორიას შორის არსებული სიმაღლეთა სხვაობის, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლის სიმაღლის (6.5 მ) გათვალისწინებით ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებით გამოწვეულ ზემოქმედება იქნება მინიმალური.

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება სხვადასხვა სახის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. წარმოდგენილია საქმიანობის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ დეტალური ინფორმაცია. როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კონტრაქტორ კომპანიას.

როგორც ანგარიშშია მოცემული, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ნიადაგის ნაყოფიერი ფენისგან, შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ანგარიშში განხილულია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგზე/გრუნტზე მოსალოდნელი დაბინძურების რისკები და დაბინძურების ძირითადი წყაროები (ნარჩენების არასწორი მართვა, სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი და სხვა დამაბინძურებელი მასალების შემთხვევითი დაღვრა). საწვავის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა გათვალისწინებული არ არის და სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გასამართად გამოყენებული იქნება მოძრავი ავტოცისტერნა. ქვესადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის დაბინძურება ძირითადად მოსალოდნელია სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის, ასევე სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების არასწორი მართვის შემთხვევაში. ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების შემცირების მიზნით ანგარიშში გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები.

ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოების მოცულობის და საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მშენებლობის პროცესში სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება არ იქნება მაღალი, კერძოდ: პროექტის განხორციელება დაგეგმილია ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის უშუალო სიახლოვეს არსებულ ტერიტორიაზე და პროექტის მიზნებისათვის საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე გამავალი გზების გამოყენებას ადგილი არ ექნება. დღის განმავლობაში შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების მაქსიმალური რაოდენობა არ იქნება 6-ზე მეტი, ხოლო ფუჭი ქანების განთავსებისთვის - დღეში არაუმეტეს 8 ოპერაცია (50-60 დღის განმავლობაში). ფუჭი ქანების სანაყაროზე განთავსების მიზნით გამოყენებული იქნება ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზა, რომლის შესაბამისად, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება, მისი გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის ფაზაზე სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების ალბათობა მინიმალურია, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სარემონტო/პროფილაქტიკური სამუშაოების შესრულებასთან.

როგორც ანგარიშშია მოცემული, პროექტის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. ანგარიშის შესაბამისად, ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობის ალბათობა მინიმალურია. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალში ხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. ამასთან, სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეწყდება სამუშაოები და ეცნობება შესაბამის უწყებას.

ანგარიშის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების სახით, გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ 500 კვ ძაბვის ეგზ „კავკასიონის“ რეკონსტრუქციის (საპროექტო ქვესადგურში შესვლა-გამოსვლა) სამუშაოების, საპროექტო ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოების პარალელურ რეჟიმში განხორციელების ალბათობა. 500 კვ ძაბვის ეგზ „კავკასიონის“ რეკონსტრუქციის პროექტი, სამშენებლო სამუშაოების მცირე მოცულობებიდან გამომდინარე (რეკონსტრუქციის პროექტი

ითვალისწინებს მხოლოდ 3 ახალი ანძის მოწყობას და 1 ანძის მობრუნების კუთხის ცვლილებას), საჭირო სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების მოწყობას არ ითვალისწინებს. საპროექტო ტერიტორიის და ეგზ-ს სარეკონსტრუქციო მონაკვეთის დასახლებული პუნქტიდან დაშორების მანძილის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე, ორივე პროექტის მიზნებისთვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება იქნება მინიმალური. ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო (საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარის არარსებობის გათვალისწინებით).

ანგარიშის შესაბამისად, ქვესადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს ელექტრომაგნიტური გამოსხივების გავრცელებასთან. საპროექტო ქვესადგურის უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან დაცილების მანძილის გათვალისწინებით (დაახლოებით 1290 მ) კუმულაციური ზემოქმედების იქნება უმნიშვნელო.

გზმ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაიშში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთშიც.

გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 11 სექტემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, მესტიის მუნიციპალიტეტის, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, საკონსულტაციო კომპანიის- შპს “გამა კონსალტინგის” წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე ყურადღება გამახვილდა წყალსაწრეტი არხის მოწყობისა და საპროექტო ტერიტორიის მდ. ენგურის წყალდაცვითი ზოლიდან საპროექტო ტერიტორიას შორის არსებულ დაშორების მანძილზე, რაზეც გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

გზმ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500/110/35/10 კვ მაზვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;

1. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებითი დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

ბ) მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ქვესადგურის განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ საშიშ გეოლოგიურ პროცესებზე მონიტორინგის წარმოება და საშიში გეოლოგიური პროცესებით დაძაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;

გ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 04/08/2015 წ. N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდეს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

დ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით;

ე) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;

ვ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ზ) მშენებლობის დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

თ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/13-21-4-202601141759>

